რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.
პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კაპ.
Тифлисъ, Фрейлинская № 13. Редакція
„Цнобисъ Пурцели“.
Телефонъ № 363.

ხელის-მომწერთა საყურადღებოდ

პირველ ივნისიდგან გაზეთი
წლის დამლევამდე «საქართველოს კალენდრით»
ღირს ოთხი |4| მანათი.

„აღმოსავლეთის მაღაზია“
ძმათა მერკვილაძეთა
ლორის-მელიქოვის ქუჩა, ზუბალოვის სახლი, სემინარიის პირდაპირ.
[illegible] [illegible]
ისყიდება ნამდვილი ჩინეთის
ჩესუნჩა და ფანზა
იაპონიის აბრეშუმეულობა, ქართული დარაიები, შალეულობა და სხვა ნივთები.
მაღაზიას აქვს საუკეთესო სამკერვალო ჩვენებურ ტანისამოსისა.
(15—8)

მიიღება ხელის-მოწერა
რუსულ-ქართულ
სრულ ლექსიკონზე.
მოხსენებულს ლექსიკონში ჩვენ შევიტანთ ყოველ სიტყვას, რომელიც-კი მოიპოვება უკანასკნელს ხანებში გამოსულს რუსულს ენციკლოპედიურს ლექსიკონებში, იმ თვალ საჩინო განსხვავებით, რომ ჩვენი ქვეყნის შესახებ ცნობები გაცილებით უფრო ვრცლად იქნება განმარტებული. ლექსიკონი გამოვა რამდენიმე წიგნად (დაახლოვებით ექვს წიგნად; ამათში ერთი უკანასკნელი, იქნება **ქართულ-რუსული**, რომელშიაც ავხსნით თვით ჩვენს ლექსიკონში ნახმარ ქართულ სიტყვებს) და ეღირება: **ორ-ორი წიგნი ხუთი მანათი გაგზავნით** (თითო წიგნი იქნება 400—500 გვერდი, ე. ი. დ. ჩუბინაშვილის რუსულ-ქართული ლექსიკონის ოდენა, რომელიც იყიდებოდა 3 მან. 60 კაპ.). პირველი წიგნი გამოვა ამ შემოდგომაზე; მყიდველს შეუძლიან **სამი მანათი** ეხლა შემოიტანოს, ხოლო დანარჩენი **ორი მანათი** პირველი წიგნის მიღების შემდეგ. სანიმუშოდ ჩვენ უკვე დავბეჭდეთ პირველი ფურმა ამ ლექსიკონისა და შეგვიძლიან გავუგზავნოთ მუქთად ყველას, ვინც მოითხოვს. თუ ვინმე როდისმე ცდილა ქართული ტერმინების შემუშავებას, ვსთხოვთ თავიანთი შრომა გამოგვიგზავნონ და ვინც დიდის სიამოვნებით შევიტანთ მათ მოხსენებულს ლექსიკონში.
ჩვენი ადრესი: ტფილისი, ივანე პავლეს ძე როსტომაშვილს.
(15—8) ივანე როსტომაშვილი.

1896 წელს ჩემ მიერ გამოცემული
ცხრამეტი წიგნი და ერთი ალბომი
„ქართველთა ცრომი“ ასამდე სურათით
და მშვენიერის ყდით გაეგზავნება მსურველს
5 მანათად.
ადრესი: ივანე პავლეს ძე როსტომაშვილს. (15—11)

თავ. დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას
ხე-ტყის ქარხანა
კოდორი, სოხუმის ოლქში
ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია სახერხი მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.
ერთად-ერთი ქარხანაა მთელ კავკასიაში, რომელიც ამზადებს
წაბლის ფიცრებს
ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და-სხვა სისქისას და განისა.
ფასი მასალებისა მეტად იაფია
დამდეგის წლის მაისიდან გაიხსნება უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში.
ყველათ შეუძლიანთ ქარხანას მიმართონ შემდეგის ადრესით: ოჩემჩირეში თეიმურაზ ჩაჩავს, ბათომში თავ. დიმ. მაჭუტაძეს. ფოსტის ადრესი: Батумъ: кн. Димитрію Мачутадзе, або Очемчиры, Теймуразу Чачава. (300—128)

საზაფხულო თეატრში
„ერმიტაჟ“
პარასკევს, 20 ივნისს,
ქართულ თეატრის არტისტებისაგან,
სცენის მოყვარეთა დახმარებით,
წარმოდგენილი იქმნება:
ქოროღლი
ტრაგედია 4 მოქმედ. თხზ. ანტონოვისა.
დასასრულ „ლეკური“.
ადგილების ფასი დაკლებულია.
ანტრაქტებში დაუკრავს სამხედრო მუსიკა და „საზანდარი“.
დასაწყისი სეირნობისა 7, წარმოდგენისა 9 საათზე.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (სიფილისი) და შინაგანი.
გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.
მქ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.
ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და $1^{1}/_{2}$—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.
ი. ფ. პრიტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.
ა. მ. ზუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.
ა. მ. კარაპეტიანცი. 1—$1^{1}/_{2}$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.
საღამოობით:
ი. ფ. პრიტასევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.
ა. მ. ზუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.
ბ. ა. ნავასარდიანი. $6^{1}/_{2}$—$7^{1}/_{2}$ საათამდე.
სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ.)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში
სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, სახირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.** გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. .ბ თოფურია.**
საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—**ფ. ქ. გერრატი.**
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**
თვალების ავადმყოფობას—**ი. ქ. ვარშავსკი.**
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
სამკურნალოს დირექტორი **ს. ბ. თოფურია.** (წ.)

ექიმი
ყ. მ. ჩიქოვანი
ავადმყოფს იღებს ყოველ დღე დილის 11—12 საათამდე და საღამოს 6—7 მდე.
მიხეილის ქუჩა, № 16.

დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“.

„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან“

16 ივნისი.

კოლომეია. ქალაქი წყალმა წალეკა. მრავალი სახლი მთლად მიფუშა და წაიღო. კოლომეასა და ტურკას შუა მიმავალს მატარებელს ხიდი ჩაუტყდა და წყალში ჩაცვივდნენ ორთქმავილი, ფოსტისა და ხუთიც სხვა ვაგონი. როგორც კერძო ცნობებიდგანა სჩანს, სამი ფოსტის მოხელე მომკვდარა და სამიც მატარებლის მოსამსახურე; რამდენიმე მგზავრიც დაშავებულა.

პორტსმუტი შემოიარა-რა უელსის პრინცმა ორჯელ გემები, საღამოს 6 საათზედ ქარი ამოვარდა და საშინელი წვიმა მოვიდა.

ახალი ამბავი

*** **თავ. ივ. მაჩაბლის ავადმყოფობა.** პატივცემული თავ. ივ. მაჩაბელი ამ ჟამად უკედა ბრძანდება. ტკივილებმა უკლო და ცოტა ღონეც მიეცა. გუშინ მადაც მოუვიდა და ცოტაოდენი საჭმელიც შესჭამა. დღეს უნდათ ექიმებს ოპერაცია გაუმეორონ და გვერდიდგან ბალღამი გამოურწყან.

ოპერაციის შედეგს ხვალ ვაუწყებთ მკითხველებს.

*** **გრიგოლ ეპისკოპოსის ჩამობრძანება.** 16 თიბათვეს, საღამოს მატარებლით ფოთიდან ტფილისში ჩამობრძანდა მისი ყოვლად უსამღვდელოესობა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო გრიგოლი. ყოვლად სამღვდელო 17 თიბათვეს წარსდგა კავკასიის მთავარმართებლის თავადის გოლიცინის წინაშე. მისი ყოვლად უსამღვდელოესობა ტფილისში კიდევ რამდენსამე დღეს დარჩება მისდამი რწმუნებულის ეპარქიის საქმეთა გამო.

*** **გზათა მინისტრის ჩამობრძანება კავკასიაში.** გზათა მინისტრი თავ. მ. ი. ხილკოვი ივლისის დამლევს ან აგვისტოს დასაწყისში კავკასიაში ჩამობრძანდება.

*** **ქალაქის არჩევანების გამო.** ტფილისის გუბერნიის სამოქალაქო საქმეთა რჩევა პარასკევს, 20 ივნისს, განიხილავს ხმოსნების უკანასკნელის არჩევანების გამო აღძრულს საჩივრებს.

*** **ტფილისის გუბერნიის საგლეხო საქმეთა რჩევის წევრი** თავ. აბაშიძე ქ. გორში მიდის, რათა განიხილოს ადგილობრივ გორის მაზრის სამხედრო ბეგარის მმართველობაზე შეტანილი საჩივრები და საზოგადოდ დაათვალიეროს ამ მმართველობის საქმეთა წარმოება.

*** **უცხოელი მოგზაური ქალი ტფილისში.** ამ ჟამად ტფილისში იმყოფება ინგლისელი მოგზაური ქალი მარიამ სმიტი, რომელსაც სურს დაათვალიეროს ადგილობრივი ციხე-ნანგრევები, ბოტანიკური ბაღი და შემდეგ დაღესტანში აპირებს წასვლას.

*** **გიმნაზიის შეგირდთა ტანისამოსის ფორმის შეცვლა.** მომავალის სამოსწავლო წლიდამ განზრახვა აქვთ შესცვალონ კლასიკურ გიმნაზიებში მოსწავლეთა ტანისამოსის ფორმა.

*** **ვაზის ავადმყოფობის გამო.** მეურნეობის სამინისტროს განზრახვა აქვს, სავსებით გამოიკვლიოს ვაზის სხვა-და-სხვა ავადმყოფობანი და ამ მიზნით მიენდო მიკოლოგს ბ. იაჩევსკის დაათვალიეროს კავკასიაში ვენახები და გამოიკვლიოს ვაზის ავადმყოფობათა თვისებანი. ბ. იაჩევსკი საგანგებო მონდობილებით არის გამოგზავნილი კავკასიაში პეტერბურგის ბოტანიკურის ბაღისაგან.

*** **ბ. ტფილისის გუბერნატორის განკარგულება.** ბ. გუბერნატორს საგანგებო კომისია დაუნიშნავს, რომელმაც უნდა განიხილოს და შეამოწმოს ახალ-ციხის ქალაქის თვითმმართველობის მოქმედებანი მართლმადიდებელთა ეკკლესიისათვის მიწის დათმობის შესახებ. კომისსიაში იღებენ მონაწილეობას საგლეხო საქმეთა საბჭოს წევრი თავ. აბაშიძე, ადგილობრივი მომრიგებელი-მოსამართლე და მაზრის უფროსი. ამ დღეებში კომისსია უკვე შეუდგება თავისს საქმეს.

*** **ქვეითი ჯარის ტანისამოსის ფორმის შეცვლა.** მთავრობას განზ-

რახვა აქვს შესცვალოს ფორმა ქვეითი ჯარის კაცთა ტანისამოსისა და იარაღისა.

⁂ **მამის მოწამვლა.** სოფ. ყვარელის (თელავის მაზრა) მცხოვრებს თავ. გიორგი ჭავჭავაძეს თვისი მამის თავ. გიორგი მელქისედეგის ძის ჭავჭავაძის მოწამვლა განუზრახავს, ჩაიში საწამლავი ჩაურევია და მიურთმევია მამისათვის, მაგრამ, ბედზე, შეუმჩნევია ეგ და აღარ დაულევია ჩაი. დამნაშავე შეუპყრიათ და თელავის საპყრობილეში დაუმწყვდევიათ. თავ. გ. ჭავჭავაძე 1894 წელსაც იყო გასამართლებული და ციხეში იჯდა გლეხის სეფიაშვილის მოკვლის გამო.

⁂ **ტფილისის II გიმნაზიაში კურს-დამთავრებული ქართველები.** წელს ტფილისის II გიმნაზია 24 ყმაწვილმა კაცმა დაამთავრა და ერთმაც გარედან მოსულმა დაიჭირა გათავების ეგზამენი. კურს-დამთავრებულთა შორის: რუსებია—13, ქართველები—5, პოლონელი—2 სომეხი—1, ბერძენი—1, ებრაელი—1, და ჩეხი—1. აი ქართველების გვარები: ჯავახიშვილი გიორგი, მამრაძე პეტრე, თუმანიშვილი ალექსანდრე, ჭრელაშვილი ალექსანდრე და იუზბაშიშვილი მიხეილ. ყველა შაგირდებთაგან ოქროს მედალი მარტო ერთმა მიიღო—ალ. თუმანიშვილმა. საუნივერსიტეტო ქალაქებში წასასვლელად გზის ფული, სხვათა შორის, მიეცათ ალ. თუმანიშვილს და პეტრე მამრაძეს. გარდა ამისა, გიმნაზიის მთავრობამ დაადგინა: კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის წინაშე ვიშუამდგომლოთ, ალ. თუმანიშვილის კავკასიის სტიპენდია მიეცესო.

⁂ **სახელოსნო სასწავლებელში კურს-დამთავრებულნი.** წელს ტფილისის მიხეილის სამოქალაქო სახელოსნო სასწავლებელში სწავლა დაამთავრა სულ 16 მოწაფემ. ამათში 10 ქართველია 3 რუსი და 3 სომეხი. მოგვყავს ქართველთა გვარები: ი. ბერეჟიანი, მ. გოგლიძე, მ. თუშმელიშვილი, ე. ფრანგიშვილი, დ. ხელაშვილი, დ. ხარტიშვილი, ი. კაციტაძე, ი. ცალქალამანიძე, იოსებ წილოსანიძე, და ვ. წივწივაძე.

⁂ **ქუთაისი. ახალი დანიშვნა.** აქაურის სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორი ბ-ნი სვიმონ ლოლობერიძე თავს ანებებს სამსახურს. ბ-ნის ლოლობერიძის მაგივრად ამ თანამდებობაზე ნიშნავენ ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელს ბ-ნ ალექსანდრე გარსევანიშვილს.

⁂ **ქ. ბაქო. სამკითხველოს საჭიროება.** ამ უკანასკნელ ხანებში თვალსაჩინოთ ეტყობა ქ. ბაქოს წინ-სვლა. ნავთისა და მაზუთის წარმოება დღითი-დღე მატულობს. ქალაქ ბაქოში შახვდებით მრავალ ჯურის ხალხს, სხვა-და-სხვა ხელობისას, რომლებსაც აქვთ თავიანთი ეკკლესია, სკოლა, ბიბლიოთეკა-სამკითხველო და სხვა მრავალგვარი საზოგადო დაწესებულება. მაგრამ ამათ შორის მცხოვრები ქართველები ერთობ ჩამორჩენილან ამ მხრით უკან, ბაქოს ქართველებს არ აქვთ თავიანთ სამშობლო ენაზე დაარსებული ეკკლესია, ეს ზნეობის მასწავლებელი და სულიერად ამამაღლებელი ადამიანისა. აგრეთვე სკოლა და „ბიბლიოთეკა“—სამკითხველო გონებრივად მსაზრდოებელ-განმავითარებელი ბნელით მოცულის გონებისა. იმდროს, როდესაც შორს ქ. ოდესაში, სადაც ორიოდე ღარიბი ქართველი სტუდენტი იმყოფება და რამდენიმე უბრალო ქართველი მუშები, აქვთ თავიანთს სამშობლო ენაზე დაარსებული სამკითხველო. ქ. ბაქოში უბრალო მუშას და წერა კითხვის არა მცოდნე ქართველს არა მგონი შახვდეთ ისე, ნასწავლები და დიპლომიანებიც ბევრია! ნუთუ ვერ მოუხერხებიათ სამკითხველოს დაარსება, რომლის ნებას მთავრობა არ დაუშლიდა. საქმეც ეს არის. და თუ დაუმატებთ იმას, რომ ბაქოში იმდენი ქართველობა სცხოვრობს, და თითოეულმა სამი მანათი გადასდოს ამ კეთილის საქმის შესაწევრად, რამდენიმე ასი მანათი შეგროვდება, რომლითაც შეიძლება კარგი და ლამაზათ მოწყობილი ბიბლიოთეკა დაარსონ ბაქოს ქართველობამ მხოლოდ, ხომ მოგეხსენებათ, ყოველსავე საქმეში მოთავეა საჭირო და ეს ბაქოს ქართველობას აკლია. კარგს იზამს ბაქოს ქართველი ინტელიგენცია, იკისრებდეს ამ ფრიად კეთილის საქმის მეთაურობას და დროზედ მიაშველებდნენ ბაქოს ქართველობას გონებით საზრდოს, რადგან მათ შორის საკმაოთაა აღძრული წიგნების კითხვის სურვილი და მით საუკუნო ძეგლს დაიდგამდნენ ბაქოს ქართველთა ხსოვნაში.

უსიამოვნო მეთვალყურე.

⁂ **ქ. გორი. ზარალის რაოდენობა.** ეხლა მე მოგახსენებთ ზარალზედ, რომელიც მოუტანა ცხინვალის საბოქაულოს ყოფილმა ნიაღვარმა 3 ამ თვეს. შემდეგ სოფლებში: შინდისში და თვალათუბანში დასეტყვა 80 დეს. ვენახები, 280 დეს. სხვა და სხვა ნათესები, 23,250 მანათისა; ფხვენისში—40 დეს. ვენახები, 138 დეს. ქირნახული, ღირებული 12,514 მან. იქვე დაერჩოთ 20 ღორი და 1 მოზვერი—30 მან. ს. ყელქცეულში,—17 დეს. ვენახები და 150 დეს. ქირნახული 15,420 მანათისა, დაერჩოთ 8 ღორი—10 მან. მეგვრეკისში $30^{1}/_{2}$ დეს. ვენახები, $203^{1}/_{2}$, სახნავი, 1520 მან. ტირძნისში 117 დეს. ვენახი $957^{1}/_{2}$ დეს. ქირნახული. სულ 19321 მან. თერგვისი $8^{3}/_{4}$ დეს. ვენახი $43^{1}/_{4}$ დეს. ნათესები 1304 მან. ს. ბროწლეთში 48 ვენახი და 370 სხვა და სხვა ნათესები ღირებული 12,670 მან. სულ დაეტყვილ იქნა $341^{1}/_{2}$ დეს. ვენახები, $2.42^{1}/_{2}$ დეს. სხვა და სხვა ნათესები და სულ ღირებული 86,039 მანათად.

დიახ, კარგა დიდი ზარალია გლეხი-კაცისთვის, რომელიც მარტო მაგ ცხოვრების სალსრებს შეჰყურებს საწყალი და მასზედ არის დამყარებული მთელი მისი ოჯახის გამოკვება; თუ რომ ეს დალოცვილი კარგი მოსავალი არ მოუვიდა და გაფუჭდა, მაშინ რაღა ჰქმნას საწყალმა გლეხკაცმა? როგორც პატივცემულმა მკითხველებმა უწყიან, არა მარტო ცხინვალის საბოქაულო დასეტყვა, არამედ თითქმის ყველა მხარე, მეჯვრის ხევისა, სურამისა და გორის ახლო-მახლო ადგილები; ჯერ მარტო ს. რუისს სეტყვამ 80,000 მანათამდე ზარალი მისცა. ამოდენა ზარალის პატრონმა საწყალმა გლეხკაცმა, რა თავში ქვა უნდა იცეს, საიდგან და რითი უნდა გარდაიხადოს ეხლანდელი წლის გარდასახადი, კანონიერი ხარჯი და ამას გარდა შეუბრალებელი ჩარჩ-ვაჭრების ვალები? ხორველობის აქეთ ჩვენ გლეხ-კაცს არ უნახავს რიგიანი მოსავალი არც ღვინისა, და არც თუ პურისა, რომელნიც შეადგენენ უმთავრესს წყაროს მათის ცხოვრებისას. შარშანაც უმოსავლობამ, გვალვამ, წყალდიდობამ, გორის ხიდის ჩატეხამ დაასუსტა და გაალატაკა საწყალი გლეხ-კაცი და წელს, როცა გულ-გატეხილი მუშაკი იღიმებოდა: ძლივს მეღირსა და ისეთი მოსავალი მომდის, როგორიც მინდაო და სიხარულით გული უტოკავდა, მაშინ... მაშინ იმედი მწარედ გაუცრუვდა და ულმობელმა სეტყვამ დაასვა დაღი უკანასკნელის სიღარიბისა.. ძლიერ კარგი იქმნებოდა, რომ რაიმე დახმარება აღმოეჩინათ ჩვენ გულ-შემატკივარ ქართველებს დაზარალებულ სოფლებთათვის. ყოვლად ძლიერო ღმერთო!

⁂ **დ. ჭიათურა** (იმერეთი). **შავი-ქვის საქმე.** გაზეთ „ცნობის ფურცლის“ საშუალებით მკითხველმა უკვე უწყის, რომ წლიური მორიგი კრება კავკასიის შავი ქვის ამხანაგობის წევრთა უნდა მომხდარიყო გასულ მარტის 18-ს ამხანაგობის წარსული წლების ანგარიშების განსახილველად და სხვა-და-სხვა კითხვების გარდასაწყვეტად. ეს კრება ზემორე მოხსენებულს რიცხვს შესდგა. ამხანაგობის კომიტეტის თავმჯდომარემ თავ. პეტრე გიორგის ძე წულუკიძემ სთხოვა კრებას, თავმჯდომარე აირჩიეთო; საზოგადოებამ აირჩია თავმჯდომარე და შემდეგ მოისმინა სხვა-და-სხვა კითხვები კომიტეტის თავმჯდომარისაგან და მერმე ვრცელი ანგარიში ამხანაგობის მოქმედებისა.

1897 წ. მარტის 20-დამ 1897 წ. 1-ლ იანვრამდე შემოსავალი ბეთ მიუღია ამხანაგობას ძმ. ფორკედ. და ამხ.—1,138,282 მ. 44 კ., სარგებელი მიუღიათ მისგანვე—1,935 მ. 26 კაპ., ქ. ბანკისაგან—38 მ. 66 კაპ., ჯარიმის ფული დაუბრუნებიათ ფორვედ. და ამხ.—2863 მ. 43 კ., სათადარიგო თანხათ რამოდენისამე წევრებისაგან—1361 მ. 52 კ., დაწუნებულ და ნაყიდ ქვისაგან—1105 მან. 21 კ., ჰერეხში დაწყობილ ქვისაგან $^{1}/_{2}$ კაპ.—2,478 მ. 28 კ., ქ. ბანკიდან ნასესხი ფული—4,800 მ., $^{1}/_{2}$ და $^{1}/_{4}$ კაპ. შეკრებილ წევრებისაგან—3517 მ. 30 კ., სულ შესდგა შემოსავლის ჯამი—1,156,381 მან. 83 კაპ.

წარედგინა კრებას გასავლის ანგარიში 1895 წ. მარტის 20-დამ.

პროექტი

ქიზიყის სახალხო დეპოს წესდებისა

I

დედა-აზრი.

§ 1. ქიზიყის ზოგიერთ მცხოვრებელთ განიზრახეს დააარსონ ტფილისის გუბერნიის და სიღნაღის მაზრის სოფელს ქვემო-მაჩხაანში სახალხო დეპო, რომელსაც საგნად ექნება:

ა) ასყიდოს ყველას ყოველ-გვარი სავაჭრო ნივთეულობა-სანოვაგენი, რაც-კი ხალხს ესაჭიროება წლითი-წლობამდის ჩასაცმელ-დასახურად, საჭმელ-სასმელად, სოოჯახოდ თუ სამოქმედოდ; ბ) იმ ძიზნის მისაღწევად, რომ ხალხის კეთილ-დღეობისათვის დეპოში ისყიდებოდეს ყველა რამ საუკეთესო ღირსებისა და რაც შეიძლება იაფად, დეპო ყოვლის ღონისძიებით ეცდება სყიდულობდეს ყოველგვარ საქონელს თავდაპირველ გამსყიდველებისაგან, როგორც ადგილობრივ კავკასიაში, ისეც მთელს რუსეთის იმპერიაში და საზღვარ-გარეთ; გ) დეპო მიიღებს კომისიითაც ადგილობრივს და არა ადგილობრივს ზოგიერთს საქონელს და აიღებს გასყიდულიდამ თავისს გასამრჯელოდ 10%-ს, იშუამავლებს აგრეთვე ხალხის ქირნახულს ახალი ბაზარი აღმოუჩინოს შინ თუ გარეთ მწარმოებელთა და მომხმარებელთა საკეთილდღეოდ; დ) დეპო, თანხმად წევრთა უმრავლესობისაგან დადგენილ ინსტრუქციებისა, ანისიავებს სასყიდელს წევრთაც და არა წევრთაც, განურჩევლად წოდება-სარწმუნოებისა—მხოლოდ საქონლის მნისიებელს უნდა მოეპოებოდეს დასაიმედებელი შეძლება, ან კეთილ-საიმედო თავდები; ე) როცა დეპოს შეძლება ნებას მისცემს, გაჰხსნის სიღნაღის მაზრაში თავის განყოფილებებს, იყოლიებს აგენტებს, გაჰმართავს საჭირო ქარხანა-სახელოსნოებს, სამკალ-სალეწ მანქანების საქირავო ბიუროებს, ორთქლის წისქვილებს, აიღებს იჯარით და საჯარო ვაჭრობით (ტორგით) სახელმწიფო საზოგადო და კერძო საქმეებს; ვ) ყოველ-წლის ბოლოს დეპოს მთელი აღებ-მიცემობის წმინდა მოგება განაწილდება სამად: 60%-ტი მიეცემათ წევრებს დივიდენდათ თავიანთ პაის ფულის რაოდენობის დაკვალად, 20%-ტი იემატება ძირის თანხას და 20% გადიდება საზოგადო-საქველ-მოქმედო საქმისათვის, ე. ი. ამ ყოველ-წლიურ 20%-ტიდამ დაარსდება საყოველთაოდ: სასოფლო სკოლა, სამკითხველო, აბანო, საავადმყოფო, აფთიაქი, გულ-გონის სავარჯიშო და გასართობი სახლები თუ სხვა ამგვარი დაწესებულებანი, რომელნიც კი ხალხს წინ-წასწევენ გონება ქონებით და ზნეობა-ჯანმრთელობით—ყველა მათგანის განხორციელება მოჰხდება წევრთა ხმის უმეტესობით და მთავრობის ნება-რთვით; ზ) სოფლად მოტრიალე დეპოს შეგნებულნი მწარმოებელნი ეცდებიან ავრცელონ ხალხში ყოველივე საუკეთესო სამეურნეო იარაღები, სახეირო ნივთები, დიდად სასარგებლო წიგნები, ჟურნალ-გაზეთები და წიგნებისავე საშუალებით მრავალ-გვარი ცნობანი და რჩევა-დარიგებანი, რაც-კი მდაბიო ხალხს ესაჭიროება, გამოაფხიზლებს და კეთილ-გზა ცხოვრებისაზე დააყენეს.

II

თანხა.

§ 2. დეპოს წევრებად მიიღებიან საქართველოს ყველა მაზრებიდამ ორ[illegible] სქესიანი, განურჩევლად წოდება-სარწმუნოებისა.

შენიშვნა: საეჭვო პირთა წევრებათ მიღება კენჭით მოხდება გამგეობის და რევიზიის წევრთაგან. მაზნევარნი წევრნი გამოირიცხებიან საზოგადოებიდამ კრების ხმის უმეტესობით.

§ 3. პაი ღირება ხუთი მანეთი. წევრს შეუძლიან რამდენიმე პაი იყიდოს, ხმის უფლება-კი ერთი ექნება და მეორეც მინდობილობით.

§ 4. დეპო გრძელ-მოკლე ვადითაც ისესხებს ფულს მსურველთაგან სხვა-და-სხვა ზომის სარგებლით თანხმად გამგეობისა და წევრთა უმეტესობისაგან დადგენილ ინსტრუქციისა.

§ 5. ამგვარად დეპოს სამოქმედო თანხა შესდგება: წევრთაგან, დროებით ნასესხებიდამ და ყოველ-წლიურ წმინდა მოგებიდამ ძირის თანხად გადადებულ 20%-დამ (1 პარაგ. 3 მუხლი).

§ 6. წევრთ მიეცემათ პაის კვიტანციები და დროებით მოვალეებს კანონიერი თამასუქები, პირველნიც და მეორენიც იქმნებიან გამგეობის თავმჯდომარისაგან და სამის წევრისაგან ჯეროვნად ხელ-მოწერილნი.

§ 7. პაის კვიტანციის მქონეს არ შეეძლება ხუთს წელზედ ადრე გამოიტანოს დეპოდამ საწევრო ფული, გარდა დივიდენდისა, რომელსაც ყოველ წლიურ ანგარიშის ბოლოს მიიღებს.

შენიშვნა: მოწილეს თუ თავისი მიღება არ ესურვება, შეუძლიან ვადა გასული პაი ახალს პაიზედ გამოცვალოს.

§ 8. პაი შეიძლება ერთმა მეორეს მიჰყიდოს უბრალო ზედ-წარწერით, მხოლოდ პაის მსყიდველი უნდა მიიღებოდეს წევრად, წინააღმდეგ შემთხვევაში პაი ჰკარგავს თავის ყოველსავე ძალა-უფლებას.

§ 9. პაის მფლობელობა ენიჭება გარდაცვალებულის კანონიერს მემკვიდრეს.

§ 10. პაის კვიტანციის დამკარგველს გამგეობისაგან მიეცემა საბადლოდ იმავე ნომრის განსაკუთრებული კვიტანცია.

§ 11. დეპოს მთელის წლიურის მოგებიდამ გამოირიცხება დროებითი მოვალეების ფულის სარგებელი, ყოველივე დეპოს საკუთვნო წლიური ხარჯები, და დანარჩენი ჯამი ჩაითვლება სამად გასაყოფ წმიდა მოგებად (§ 1, მუხ. 3).

§ 12. თუ ვინიცობაა ხსენებული ხარჯების გამორიცხვის ბოლოს აღარა დარჩა რა წმინდა მოგება და პირიქით წევრთა თავნსაც აკლდება, მაშინ ეს ზარალი, თუ შემთხვევითია—შეივსება ყოველ-წლიურ ძირის თანხად გადადებულ და გადასადებ 20%-დამ და თუ ზარალი დეპოს გამგეობის და დახლიდარ-ნოქრების ბოროტ-მოქმედებით და უზრუნველობა-დაუდევნელობით არის გამოწვეული, მაშინ-კი ბრალდებულთ გადაჰხდება იგი ზარალი და ამასთანავე მიეცემიან იგინი სამართალში, როგორც დამნაშავენი.

III

გამგეობა.

§ 13. დეპოს გამგეობას შეადგენს თავმჯდომარე და სამი წევრი—დირექტორი თავიანთ მობადლეებით (კანდიდატებით), რომელთაც სამ წელიწადში ერთხელ აღმოირჩევენ წევრნი თავიანთ შორის.

§ 14. რევიზიის წევრნიც იქნებიან აღმორჩეულნი გამგეობის წევრთა აღმორჩევის წეს-რიგით და რიცხვითაც იმდენნივე, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ რევიზიის ოთხი წევ

97 წ. იანვრის 1-დის ამხანაგო-
 წევრებს მიუღიათ მოტანილ ქვა-
—400,335 მ. 29 კ., ნაღდ ქვა-
 გასულა—20,199 მ. 24 კ., სა-
ვრო ფული ქ. საკრედიტო ბანკ-
—600 მ., ძმ. ფორვუდებს და ამხ.
ვებელი—12,916 მ. 9 კ., საურ-
ერთო ქ. საკრედიტო ბანკის 640
. 60 კ., კანტორის ხარჯებში—
,410 მ. 99 კ., ავეჯეულობა კან-
არისათვის—2,284 მ. 4 კ., ჯამა-
რები კომიტეტებს და მოსამსახურე
ებს—15,488 მ. 75 კ., ჰერხის
ს გადმოტანაში დახარჯულა—
954 მან. 58 კ., გასტუმრებული
ის ¼ და ½ კაპ.; წევრების და-
ავებული—3,517 მ. 3 კ., გავა-
ბული ყოფილა ამხანაგობაზედ—
239 მ. 12 კ., ფულის გადმოსაგ-
ნი საზღვარ-გარეთიდამ—12,087
. 3 კაპ., მარგანეცის გადასატანი
ნის გზით ფოთამდის—663,075
. 94 კ., წყალ-დიდობის და ზამ-
ის გამო დაჯარიმებული გემები—
00 მ., ევრიტის ხარჯები გაყი-
ლების შესახებ—3,583 მ. 76 კ.,
აში დარჩა ნაღდი ფული—49 მ.,
კ., შედგა ჯამი სულ—1,156,381
. 81 კ.

მდეგ ამ ანგარიშების მოხსენებისა,
ი ხმაურობა ასტყდა კრებაზე...
ების თავმჯდომარეს შეეკითხნენ:
ო თავმჯდომარევ ამხანაგობის გა-
ობისა, ამ ანგარიშებზედ ხელი
ვსთ მოწერილი თუ არა?"—ხელი
 არ გვაქვს მოწერილი, მაგრამ
ბას თუ სურს, ეხლავე მოვაწერთ
ს!" რამოდენიმე შენიშვნა მისცა
ეთვე ამხანაგობას ზედამხედველ
მიტეტის თავმჯდომარემ სამსონ
უშელიშვილმა. „თუმც საზოგა-
ებამ წარსულ არჩევანებზედ ამო-
ჩია და დამავალა გამეჩხრიკა ან-
იშები, მაგრამ ეს ჩემთვის შეუძ-
ბელი შეიქმნა, რადგანაც მე ინ-
ისური ენა არ ვიცი და ამ ანგარიშების განსახილველად საჭიროა ეს ენა, ვინაიდგან გემების ანგარიში ინგლისიდგანაა გამოგზავნილი, მის გასაჩხრეკად და დასათვალიერებლად საჭიროა იმ ენის ცოდნა. ამისათვის მე ვთხოულობ, ეს ანგარიშები ჯერ დაუმტკიცებელი დარჩეს კრებისაგან იქნობამდის, სანამდისაც ჩვენ არ მოვიწოდებთ ვინმე მცოდნე კაცს, რომ მან ჩვენ გვითხრას ამ ანგარიშების სიმართლე; თორემ ამ ნაირი ანგარიშები საეჭვოა..." ამხანაგობის კომიტეტის თავმჯდომარემ თ. წულუკიძემ ახსნა ვრცლად ყველა ის მიზეზები, რა მიზეზებითაც ამხანაგობა მეტ ხარჯებში ჩავარდა, მაგალითებრ, წყალ-დიდობამ რკინის გზა გააფუჭა და ამის მიზეზით გემები დროზედ დატვირთული არ იქნა, რის გამო ჯარიმები იყო გადახდილიო, და სხვა ათასი მიზეზი... მერმეთ წაიკითხა წერილები, მონაწერი ამხანაგობის კომიტეტისაგან ფორვუდთან და პასუხი ფორვუდისაგან მოწერილი (ფორვუდი არის ის კაპიტალისტი, რომელთანაც ამხანაგობას საქმე აქვს). ანგარიშები ყველა დამტკიცებული იქნა კრებისაგან.

შემდეგ ამისა აღიძრა სხვა-და-სხვა კითხვები. ყველა კითხვების მოყვანას მე საჭიროდ არ ვრაცხ, მხოლოდ მინდა ზოგიერთი კითხვები მოვიყვანო, მაგალითებრ: ხარჯების შემოკლება.—ერთ ხმათ გარდაწყვიტეს, კანტორის ხარჯები შემოკლებულა იქნესო.—მერმეთ მიდგა საქმე არჩევანებზედ. გამგეობის წევრებათ იყვნენ 5 კაცი; თავმჯდომარეს კომიტეტისას ანუ გამგეობისას, რამდენი მილიონი ფუთი ამხანაგობის ქვა გაიყიდებოდა, იმდენი 1000 მანეთი ჰქონდა ჯამაგირი, ესე იგი, თუ ხუთი მილიონი გაიყიდებოდა, მაშინ 5000 მ. ჯამაგირს მიიღებდა; დანარჩენ 5 კაცს ხუთ-ხუთი თუმანი ჰქონდათ თვიურად.—აგრეთვე საჭირო იყო და არის ერთი ბუღალტერი, ერთი კასირი და ერთიც მწერალი. ეხლა ეს ამხანაგობის კრებამ შესცვალა—გაადიდა და თერთმეტი კაცი აირჩია: თ. პ. გ. წულუკიძე—ძველი თავმჯდომარე გამგეობისა—ხელ-ახლადაც იქნა ამორჩეული თავმჯდომარედ; ვ. იურკევიჩი, ნ. ბეჟანეიშვილი, პავლე მოსეშვილი, ბ. მოსეშვილი, დ. წერეთელი, ა. წერეთელი, კ. ქუთათელაძე, ი. ქადაგიძე, ს. აბდუშელიშვილი, ნ. ყიფშიძე დ. გუგუნავა. ამ თორმეტ კაცში მხოლოდ სამს კაცს დაენიშნა ჯამაგირი: თ. წულუკიძეს და კიდევ ორს, ვისაც ეს თორმეტი კაცი თავიანთ შორის აირჩევენ, ხოლო ყოველივე კითხვა ამხანაგობისა მარგანეცის შესახებ უნდა გადასწყვიტოს ამ 12 კაცმა ხმის უმეტესობით. თავმჯდომარეს აქვს 1½ ხმა და დანარჩენს თითო ხმა; ამ გამგეობის კრება ითვლება კანონიერად, ორი წილი თუ დაესწრება.

კრებამ გასტანა სამს დღეს და შემდეგ დაიხურა. ეხლა მე მსურს „ცნობის ფურცლის" საშუალებით გამოველაპარაკო საზოგადოებას, ნამეტურ იმას, ვინც ურევია ჩვენს ამხანაგობაში. კრების სურვილი და გარდაწყვეტილება იყო, რომ ამ თორმეტმა კაცმა განაგოს ჩვენი საქმე და ყოველივე კითხვა მარგანეცის შესახებ ხმის უმეტესობით გარდასწყვიტოსო. იქმნა სისრულეში მოყვანილი კრების გარდაწყვეტილება, თუ არა? არა! მე, ერთი იმ 12 კაცთაგანი მხოლოდ ორჯელ ვიყავი მოწოდებული და შემდეგ ჰო და ან არა, რომელისამე კითხვის შესახებ ჩემთვის კაცს არ უკითხავს და არც კრება ახალის გამგეობისა მომხდარა; მით უმეტეს კითხვები კი ბევრი გარდაწყვეტილა და სისრულეშიაც მოუყვანიათ. რა უნდა დავარქვათ ამ ხაირ მოქმედებას? ყოველისფერს რომ თავი დავანებოთ, ეს კია, რომ ამნაირი მოქმედება კომიტეტისა ანუ გამგეობისა არღვევს თვით იმ ხელშეკრულობას, რომელიც არის ამხანაგობის წევრთა შორის დაწერილი 14 იანვარს 1895 წ. უფ. ნოტარიუსის გაბაევის კანტორაში ქ. ქუთაისში. ჩემის აზრით, ამ ნაირის მოქმედებით და უთანხმოებით, მარგანეცის ამ ისედაც დაცემულ ფასის დროს, სჯობია, ჩვენი კანტორა და წარმოება დავხუროთ დავუცადოთ ახალს ამხანაგს (სინდიკატს) და ტარიფის დაკლებას.

[illegible]ზგომრელ—ქიათურელი.

მცირე შენიშვნა.

(ქართველთა სააღებ-მიცემო ამხანაგობის „შუამავლისა" გამო).

დღეს ეს არის პირველი მაგალითი და თვალ-საჩინო დაწესებულება ჩვენს დედა ქალაქ თბილისში, რომლის აზრიც შეადგენს ერის საკეთილდღეო მიმართულებას, მის ნივთიერად და გონებრივად წინ მსვლელობის გაუმჯობესობას და კეთილს ნიადაგზედ დამყარებას. რასაკვირველია, ამხანაგობა დიდი საქმეა და დიდს ძალასაც შეადგენს ერთობით შრომა და მოქმედება და ამისთვის აუღია პირველ საგნად ამხანაგობას სიმართლის მაჩვენებელი ადლი და სასწორი, რომელიც აძლევს საშუალებას მწარმოებელთ და მხმარებელთ შორის კეთილის წეს-რიგის დამყარებას, უტყუარს და სინიდისიერს აღებ-მიცემობას.

ეს საქმეს, რასაკვირველია, ყველასათვის სასურველი და სასიხარულო საქმეა. ამისთვის ჩვენ, ქართველი ხელოსნებიცა ვგრძნობთ და ჩვენშიაც არის ძმობა და ერთობის სურვილი, მით უმეტეს რომ, დღეს კიდევაც არის რამდენიმე ხელოსანი წევრად „შუამავლ"-ამხანაგობაში; ამიტომ არ იქნება ურიგო, რომ „შუამავლის" გამგეობამ ხელოსანთ მდგომარეობასაც მიაქციოს თვისი ყურადღება და გაუჩინოს ბაზარი მათს ნაწარმოებსაც წესდების 3 § პ. წეს რიგით. ამით, რასაკვირველია, დიდს საშუალებას და სამსახურს გაუწევს მუშა ხელოსანსაც, პირველი იმით, რომ დაიხსნის ჩარჩების უზომო ძარცვა-გლეჯვისგან, მეორეც იმით, რომ ის მოგება, რაც დღეს ჩარჩს რჩება მუშა ხელოსნისგან, იმით ისარგებლებს თვით მწარმოებელ-მხმარებელი და „შუამავლის" წევრებიც.

მესამე კიდევ იმით, როგორც 2 § პა. უადვილებს ხელოსანს მასალის სამართლიან ფასათ მოპოვებას და იმ სახელოსნო საჭიროებას, ე. ი. იარაღს და მასალას, ჩარჩისაგან აღარ იყიდის ხელოსანი და ერთ მანათიანში ორ სამ მანათს არ მისცემს, მაშინ როდესაც ეს ყოველივე მოიპოვება ამხანაგობის საწყობ სავაჭროში, და მხოლოდ მწარმოებელს და „შუამავლის" ხელში იტრიალებს სამართლიანი აღებ-მიცემობა და არა ერთის კერძო ვაჭრის ხელში, რომელსაც თავის მეტი სხვა აღარავინ მიაჩნია ქვეყანაზედ.

თუ-კი ამხანაგობის გამგეობა არ მოერიდება ხელოსანთ ნაწარმოების საწყობს განყოფილებას და მასალის საყიდს. ამით დიდს სარგებლობას მოუტანს ორთავ მხარეს მწარმოებელს, მხმარებელს და მთლად საზოგადოების წევრთაც.

გავახსენებთ პატივცემულთ „შუამავლის" მოწინავე პირებს "წესდების 1 § პ. 3, ხსენებულს საგანს გაუჩინოს ბაზარი მწარმოებელთ და შეუსუბუქოს ხარჯი მხმარებელთ, რომლის საშუალებითაც კმაყოფილდება ორივე მხარე, სამართლიანის აღებ-მიცემობით. რასაკვირველია, ყოველი მწარმოებლი, საჭიროებას შეადგენს მასალა და იარაღი, რომლითაც ხელოსანი ხელმძღვანელობს

ითონვე აღმოირჩევს თავისს შორის
ვმჯდომარეს.

§ 15. დეპოში მოტრიალე თავმჯ-
ამარეს და გამგეობის წევრთ თან-
მად წევრთა უმეტესობისა, მიეცემათ
მაგირები მათის შრომა-მეცადინეო-
ს შესაფერად. შრომის დაკვალად
ეცემათ გასამრჯელო რევიზიის წე-
თაც.

§ 16. დეპოს გამგეობის მოვალე-
აა: ა) მოიტანოს და გამოიწეროს
დზე, ნისიათ და კომისიით სხვა-
სხვა ადგილებიდამ ყოველ-გვარი
გასასყიდი საქონელი და კერძო კა-
ებისაგან ივალოს ფული აღებ-მი-
ემობის გასაძლიერებლად; ბ) იმის
იხედულობით, თუ დეპოს მანათ-
ში რამდენი მოგება ეკმარება,
მის-და კვალად ადგინოს მაზან-
ა, ესე იგი ყველა საქონელს დაა-
ეროს: როგორ უნდა გაიყიდოს;
) ფხიზლად ადევნოს თვალ-ყური
ველ-დღიურ აღებ-მიცემობის მიმ-
ნარეობას, დახლიდარ-ნოქრების
ქმედებას, შესავალ-გასავლის ანგა-
იშებს და ყოველ საღამოს ჩაიბაროს
დახლიდ; დ) შეიმუშაოს და დაა-
გინოს აღებ-მიცემობის მარჯვე-გო-
ვრულად წარმოებისათვის ისეთი
უკეთესო წეს-წყობილება მოქმედე-
ბსა, რომ დაუხანებლივ აღმოჩნდე-
ოდეს რომელიმე ღალატი და ბო-
ოტ-მოქმედება დახლიდარ ნოქრებ-
სა; ე) გაამწესოს და გამორიცხოს
ოქრები, დახლიდრები, აგენტები, მდივანი და სხვა მსახურნი; ვ) ანისიოს საქონელი თავის გადაწყვეტილ ფასად წევრთაც და არა-წევრთაც თანხმად საზოგადო კრებისაგან დადგენილ ინსტრუქციებისა; ზ) მოსთხოვოს და მისცეს პასუხი და ანგარიში ყველა იმათ, რომელნიც კი დეპოს აღებ-მიცემობაში ერევიან; ჱ) კვირაში ერთხელ ან ორჯერ შეიკრიბოს სათათბიროდ და ყოვლის ღონის ძიებით ეცადოს გულმოდგინედ დეპოს აღებ-მიცემობის გასაძლიერებლად საყოველთაო სიკეთისათვის; თ) აღნიშნოს განსაკუთრებულ დავთარში ყოველივე თავის მოქმედება, გარდაწყვეტილება და მუშტრისა და მოწილეების საყურადღებო მოხსენება-საჩივრები; ი) მოიწვიოს წევრთა ჩვეულებრივი და არ ჩვეულებრივი (საგანგებო) კრება; ია) ყოველი წლის ბოლოს წარუდგინოს საზოგადო კრებას წლიური ანგარიშები დეპოს თავის წინა-დადება-მოსაზრებებით და სხვანი.

შენიშვნა: საკამათო კითხვის დროს გამგეობა ხმის უმეტესობით სწყვიტავს საქმეს. მობადლეებსაც შეუძლიანთ დაესწრონ რჩევაში, როდესაც-კი მოისურვებენ. თუ წევრთა ხმა თანასწორედ გაიყო, მაშინ მიიღება ის რჩევა, რომლისკენაც თავმჯდომარეა. ამავე წეს-რიგს ექვემდებარება სარევიზიო რჩევაც.

§ 17. რევიზიის წევრთა მოვალეობად ითვლება: ა) გულ-დადებით ჰმეთვალ-ყურობდეს დეპოს, რომ წესრიგიანად სრულდებოდეს როგორც ყოველი მუხლი, პუნკტი და შენიშვნა ამ პროექტისა, ისეც ყველა პირობები, ინსტრუქციები და განკარგულებანი—საზოგადო კრებისაგან დადგენილი; ბ) დაწვრილებით გამოიძიოს, გადაჩხრიკოს და შეამოწმოს კვირაში ერთხელ და როდესაც კი მოისურვებს ყოველ-გვარ გასასყიდ საქონლის სიავკარგე და მათზე წარწერილ ფასების სიმართლე, დღიური, თვიური და წლიური ანგარიშები, დავთრები, ნუსხები, მიწერ-მოწერა, საბუთის ქაღალდები, ქონების რაოდენობა და რაც კი დეპოს მაწარმოებელთა მოქმედებას შეეხება; გ) უმეტნაკლებოდ აღნიშნ[illegible]-კუთრებულ დავთარში რევ[illegible]ის რომელმა წევრმაც რაიმე უწეს-რიგობა და ბოროტ-მოქმედება აღმოაჩინოს დეპოში; დ) შეუერთდეს გამგეობის რჩევას სათათბიროდ, როდესაც კი საჭიროება მოითხოვს ამას; ე) მიიღოს საჩივრები ყველა მუშტრებისა და მოწილეებისაგან; ვ) აუწყოს საზოგადო კრებას დეპოს ყოველივე ავ-კარგი, საჭიროებანი და სხვანი.

შენიშვნა: უწესრიგო და გულაცრუებული მოქმედებისათვის რევიზიის წევრნიც დეპოს მწარმოებელთა პასუხის გებაში მიეცემიან საზოგადო კრებისაგან და გამოირიცხებიან თანამდებობიდამ. (§ 12)

§ 18. წევრთა საანგარიშო ჩვეულებრივი წლიური კრება მოჰხდება ივლისში და არ ჩვეულებრივი თუ ნახევარ-წლიური მაშინ, როდესაც კი აუცილებელ საჭიროებისათვის მოითხოვენ ამას ან გამგეობა-რევიზიის წევრნი და ან თვით მოწილე წევრები არა უმცირეს ორმოცი კაცისა.

შენიშვნა: წევრთ წინადვე ეცნობებათ კრების ადგილი და განსახილველ საქმეთა შინაარსი.

§ 19 ჩვეულებრივი კრება მაშინ ჩაითვლება კანონიერად, როცა წევრთა ორი მესამედი ნაწილი დაესწრება, ხოლო არ-ჩვეულებრივზედ კი შეიძლება ერთი მესამედის მეტიც არ დაესწრას.

§ 20. თუ ვინიცობაა დანიშნულ დღეს არ შესდგა კრება საჭირო რაოდენობით—გადიდება, და მეორე ვადაზედ კი რამდენი წევრიც დაესწრება, კრება კანონიერად ჩაითვლება.

შენიშვნა: ამ მუხლის ძალას არ ექვემდებარება 25 პარაგრაფი ამ პროექტისა.

§ 21. ჩვეულებრივი და არ-ჩვეულებრივი საზოგადო კრება თავის შორის აღმოირჩევს კენჭით თავმჯდომარეს, ხოლო გამგეობა-რევიზიის წევრთაგანი არ უნდა იყოს იგი. კრების მდივანს აღმოირჩევს თვით თავმჯდომარე.

§ 22. წევრთა წლიური კრება დაწვრილებით განიხილავს დასამტკიცებლად და გარდაწყვეტილების დასადგენად ხმის უმეტესობით: ა) გამგეობისაგან წარდგენილ დეპოს მთელ აღებ-მიცემობის წლიურს ანგარიშებს; ბ) გამგეობა-რევიზიის წევრთა და მოწილეთა წინდადებებს თუ დავა-კამათობას; გ) დეპოს დროებით მოვახშეების (კრედიტორების) და მუშტრების თხოვნა-საჩივრებს; დ) რომელი დაწესებულება უფრო საჭირო იქნება განხორციელდეს საქველ-მოქმედოდ ხალხისათვის ყოველ წლივ საიმისოდ გადადებულ და გადასადებ-20% ტიდამ; ე) მომავალ წლის სამოქმედო გეგმა-ინსტრუქციებს; ვ) ყავლ შესრულებულ გამგეობა-რევიზიის წევრთა საბადლოების აღმორჩევას და სხვანი.

შენიშვნა: დეპოს მოქმედება, აქტივი და პასსივი ყოველ-წლიურ ანგარიშის ბოლოს გამოქვეყნდება გაზეთების საშუალებით.

§ 23. «ქიზიყის სახალხო დეპო» იქონიებს თავის დასაკუთრებულ წარწერას («ვივესკას»), ბეჭედს და ბლანკებს.

§ 24. ამ პროექტის მუხლთა შეცვლა-დამატება მოჰხდება თანხმად წევრთა უმეტესობისა მთავრობის ნებართვით.

§ 25. თუ დეპოს ზარალის მეტი არა მოაქვს რა, მაშინ წევრთა ორის მესამედის ხმის თანხმად შეიძლება მისი მოსპობა (ლიკვიდაცია).

და მით აკეთებს მრავალ-გვარს ნივთს ადამიანის საჭიროებისთვის. თუ-კი საშუალებას მისცემს ხელოსანს 3—4 § პარაგრაფს წესდებისა, როგორათაც სოფლის მწარმოებელთ, ამ წეს-რიგით რომ ქალაქების მუშა ხელოსანთაც ისარგებლონ, მაშინ ყოველს ხელ-ნაკლებს მწარმოებელს გაუადვილდება თავისი ნაწარმოების სამართლიან ფასად გაყიდვა და ადვილადაც შეუძლიან გახდეს წევრი ამხანაგობისა. რასაკვირველია, ის გარემოებაც ყველასათვის ცხადია, რომ, რამდენიც წევრი ამხანაგობისა მრავალი იქნება, იმდენი ძალა და ხმაც დიდი აქვს ამხანაგობას. ისიც უნდა იგულისხმონ ამხანაგობის მმართველებმა, რომ თუ მარტო სოფლის მწარმოებელს მიაქცია ყურადღება და ქალაქების მწარმოებელთ კი ზურგს შეუქცევს, ამით ის გამოვა, რომ ერთს ძმას ეხმარება და მეორეს-კი არა, ერთს ხელს უმართავ და მეორე კი ავიწყდება. ნუ დავივიწყებთ ჩვენებურს ანდაზას, „ხელი ხელსა ჰბანს და ორივე-კი პირსაო“ ასე, რომ სოფელი უქალაქოთ არ ვარგა და ქალაქი უსოფლოთ, სოფლის მწარმოებელი არის საქმის კოპიტათ გამომყვანი და ქალაქის მწარმოებელი-კი გამსუფთავებელ-გამლამაზებელი არის. ყოველს კოპიტს საქმისას, ისინი აკეთებენ; იმას, რაც ჩვენთვის მოუხერხებელია გასაკეთებლად და ჩვენ ვაკეთებთ მათს გადმოცემულს ჩარჩის ხელით მასალას, ვალამაზ-ვასუფთავებთ და ჩვენც ისევ ჩარჩის ხელით ვუგზავნით სოფლის მწარმოებელ მოძმეთ. აქ მხოლოდ მეტს და კარგათაც სარგებლობს ჩვენის, ესე იგი სოფლისა და ქალაქის მწარმოებლის შრომით მხოლოდ ჩარჩი. მე მხოლოდ ამით ის დასკვნა მინდა გამოვიყვანო, რომ სოფლისა და ქალაქის მწარმოებელს უნდა ჰქონდეს ურთიერთზედ დამოკიდებულება და აი ეს სწორედ ჩვენ შორის სოფლის და ქალაქის მწარმოებელთ დამოკიდებულება შეუძლიან „შუამავალს“ საზოგადოებას; მისის საშუალებითაც გადავსცემთ ჩვენს ნაწარმოებს ერთმანეთს უტყუვრად და უყალბოდ. დასასრულ, ვიმედობთ, რომ პატივცემული „შუამავლის“ გამგეობა უყურადღებოდ არ დასტოვებს ჩვენს შენიშვნას და თუ ეხლა არა, შემდეგში მაინც იზრუნებს რამე ღონეს ხელოსანთ ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

დურგალი მ. ჩოდრაშვილი.

განცხადებანი

რედაქციისაგან

შეღავათიანი განცხადებანი

„ცნობის ფურცლის“ რედაქცია იმ პირთ, რომელთაც სჭირდებათ განცხადება რაიმე საქმის მოსაპოვებლად, მაგ.: მასწავლებლებს, მოწაფეთ, ექიმებს, ვექილებს, მწერლებს, მთარგმნელებს, წიგნების გამომცემელთ და სხვათა, განცხადებას უბეჭდავს სულ მცირე ფასად: **სტრიქონი პირველ გვერდზე 3 კაპ.** (ორი შაურის მაგიერად) და **უკანასკნელ გვერდზე 2 კაპ.** (შაურის მაგიერად).

დიდის ხნის სურვილი გამიხორციელდა და საკუთარი ჟურნალის გამოცემის ნება-რთვა მივიღე და ამ 1897 წლის პირველ ენკენისთვიდან, ყოველ თვე და თვე, გამოვა

„კრებული“

სამი განყოფილებით: 1-ში იქნება ახალი ჯერ დაუბეჭდელი, ყოველგვარი ჩემი თხზულებათაგანი, 2-ში ჩემი თავ-გადასავალი, ანუ ნახული და გაგონილი, ჩვენის ქვეყნისა და ცხოვრების შესახები.—შიგა და შიგ ჩართული იქნება ხელ-ახლა ყოველისფერი, რაც-კი ამ ორმოცი წლის განმავლობაში მიწერია,—საჭირო შენიშვნებითა და განმარტებით... 3-ში ზეპირ-გადმონაცემი, ხალხური პოეზია, ე. ი. შაირები, ზღაპრები, ძველი ამბები, ანდაზები, არაკები, გამოცანები, შელოცვები და სხვანი.

რადგანაც ამ უკანასკნელს მეტს მნიშვნელობას ვაძლევთ სხვა ყოველისფერზე, ამისათვის ყველასა ვსთხოვთ, რომ შემწეობა აღმოგვიჩინონ ამ დიდ საქმეში.

საზოგადოდ ხალხურ პოეზიაზე და მისს შეკრების შესახებ ვრცელი სტატია იქნება პირველ ნომერშივე.

წელიწადში გამოვა თორმეტი წიგნი და ეღირება ტფილისში მცხოვრებთათვის 6 მან., ხოლო ქალაქ გარეთ გაგზავნით 7 მან. წელიწადში; ნახევარი წლით-კი 4 მან.

ხელის მოწერა მიიღება

ტფილისში: «წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების» წიგნის მაღაზიაში შიო ქურუკაშვილთან (სათავად-აზნაურო ქარვასლაში).

იოსებ მერკვილაძის მაღაზიაში (ლორის მელიქოვის ქუჩა, ზუბალოვის სახ. № 4) და ტფილისის ამხანაგობის „შუამავლის“ მაღაზიაში.

ქუთაისში: ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიაში და მიტროფანე ლაღიძესთან.

ბათუმში: მარიამ ივანეს ასულ ელიავასთან და დოქტორ ვოლსკისთან.

ფოთში: სოფრომ მგალობლიშვილთან და იაკობ ფანცხავასთან.

ოზურგეთში: კოწია თავართქილაძესთან, „შუამავალში“.

საჩხერეში: ყარამან ჩხეიძესთან.

ჭიათურაში: ირაკლი ღეკანოზიშვილთან.

ყვირილაში (ზესტაფონში): დეკანოზ დავით ღამბაშიძესთან და ალექსანდრე არაბიძ-ს წიგნის მაღაზიაში.

წიფაში: კირილე ხარაძესთან.

ზუგდიდში: კნეინა ანეტა დადეშქელიანთან.

სენაკში: ბესარ. დავითის ძე ქავთარაძესთან და სამ. ყიფიანთან.

ონში: თავ. ქაიხოსრო გელოვანთან.

განჯაში: ალექსანდრე მიქაბერიძესთან და სოლ. დოლიძესთან.

ბაქოში: გიორგი დეკანოზიშვილთან.

კავკავში: ალექსი ბეს. ჭიჭინაძესთან და ივანე ჩითაიშვილთან.

ხონში: ივანე შარაშიძესთან.

გორში: ნიკო ლომაურთან, მიხეილ ილურიძესთან და რომანოზ ფანცხავასთან.

თელავში: ბარბარე პაატას ასულ სულხანიშვილთან, კნიაგინა მარიამ ესტატეს ასულ ვახვახიშვილთან და ივანე გოგელიშვილთან.

სიღნაღში: დ. მაჩხანელთან დეპოში და თ. დ. ჩოლოყაშვილთან.

ახალციხეში: გრიგოლ ბურჭულაძესთან.

ახალქალაქში: ილია ალხაზიშვილთან.

ხაშურში: იოსებ ნიკოლოზის ძე ფანცულაიასთან.

მოლითში: პავლე გურცხალიასთან.

ბრეთში: თავ. ვანო ავალიშვილთან.

ამას გარდა სხვა დაბა-ქალაქებშიაც გვეყოლება აგენტები, რომელთაც ექნებათ დაბეჭდილი და ჩვენი ხელ-მოწერილი ბარათები.

(20—8)

«კრებულის» რედაქტორი **აკაკი.**

Магазинъ

О. ЗИБЕРТА

Дворцовая.

равюры, фотографіи и платинотипы съ произведеній **ИЗВѢСТНЫХЪ ДОЖНИКОВЪ** фирмы Буссо, Валадонъ и Кº въ Парижѣ, а также Берлинскаго и Мюнхенскаго фотографич. обществъ.

ЧЕКАННОЙ РУЧНОЙ РАБОТЫ

СЕРЕБРЯННЫЯ ВЕЩИ фабрики **МЮЛЛЕРЪ въ РИГѢ**

Большой выборъ: *альбомовъ дорожныхъ и дамскихъ* **НЕССЕСЕРОВЪ, БЮВАРОВЪ, ПОРТЪ-МОНЭ, ПОРТФЕЛЕИ** и т. под.: **МЕЛЬХІОРОВЫХЪ ВЕЩЕ** и издѣлій изъ *слоновой кости* и т. д. и. т. д.

Заведеніе для переплетныхъ и галантерейныхъ, какъ художественныхъ, такъ и простыхъ работъ.

(50—40)

ბუღალტერიის შესწავლა

ვისაც საფუძვლიანად ჰსურს შესწავლა

სრული კურსი ბუღალტერიისა სამის თვის განმავლობაში, შეუძლიან მიჰმართოს ტფილისის საურთიერთო სამეურნეო ბანკში უფროსს ბუღალტერს **ი. ია. ბრონ ფონ ბრენნერს.**

ფასი მთელის ბუღალტერიის საფუძვლიანად შესწავლისა **40** მან.

КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухглтеріи** двойной итальянской по разнымъ отраслямъ торговой промышленности.
2) **Коммерческой риѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики и счетохъ,**
4) **Коммерческой эконміи,**
5) **Тортовыхъ и вексельныхъ** узаконеній,—преподаетъ **И. Я. БРОНЪ ФОНЪ-БРЕННЕРЪ**, гл. бухгалтеръ Тифл. общ. взаим. сел.-хоз. кредита.

Плата за весь курсъ 40 руб.

Курсъ 3-мѣсячный, при ежедневныхъ занятіяхъ, въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е число каждаго мѣсяца. Спросить: Михайловская, 71. ттестаты за успѣшныя занятія реальнаго училища и школы садоводства. (წ.)

ПРОДОЛАЖЕТСЯ ПОЛУГОДОВАЯ (съ 1 апрѣля по 1 октября) И ГОДОВАЯ ПОДПИСКА НА ЕЖЕМѢСЯЧНЫЙ НАУЧНО-ЛИТЕРАТУРНЫЙ И ПОЛИТИЧЕСКІЙ ЖУРНАЛЪ

„НОВОЕ СЛОВО“

вышла восьмая, майская книжка.

СОДЕРЖАНІЕ: 1. Въ горахъ. Эскизъ. В. Сѣрошевскаго. 2. Къ характеристик экономическаго романтизма. Сисмонды и наши отечественные сисмондисты. К. Т—на. 3. Въ вратахъ эдема. Романъ В. Свѣтлова. 4. Принципъ эволюціи. Эдмона Перье 5. Александръ Ивановичъ Герценъ и Наталья Александровна Захарьина. (Ихъ переписка). 6. Въ чужомъ гнѣздѣ. Романъ К. Ельцовой. 7. Очерки изъ исторіи общественныхъ идей и отношеній въ Германіи въ XIX вѣкѣ. С. Т. Р. 8. Избавленіе. Набросокъ Маріана. 9. * * * Стихотворенія. Мих. Г. 10 Законъ причинности и свобода человѣческихъ дѣйствій. С. Булгакова. 11. Еще о свободѣ и необходимости. П. Струвѣ. 12. Яковъ Послѣдній. Романъ изъ быта австрійскихъ крестьянъ. П. К. Розеггера. 13. Развивается ли капитализмъ въ русскомъ землевладѣніи? И. Гурвича. 14. Н. И. Наумов Н. К. 15. На разныя темы. Ш. „Мужики“ г. Чехова. Novus. 16. Новыя книги. 17. Къ вопросу о движеніи земельной собственности. А. Р. 18. Грамотность въ связи съ диференціаціей деревни. С—каго. 19. Письма изъ провинціи. 1. Тверь. (Земскія дѣла) С. АН. Ч—аго. 2. Изъ юго-западнаго края. (Введеніе въ губерніяхъ края земски учрежденій; изъ дѣятельности Кіевскаго общества грамотности). С. Б. 20. Изъ жизни провинціи. Журналъ „Хозяинъ“ о русскомъ обществѣ.—Вопли и проекты г. Ярмонкина.—Призывы русскихъ аграріевъ къ объединенію.—Исчезновеніе патріархальнаго строя.—Становой-законодатель.—Оригинальный ревизоръ риго-орловской жел. дор. и железно-дорожные порядки.—Просвѣтительныя учрежденія и „неблагопріятныя условія“ мѣстной жизни.—Штатсъ-народникъ г. Гофштеттеръ. В. Богучарскаго. 21. Иностранное обозрѣніе. Греко-турецкая война.—Австро-русское сближеніе.—Историческая справка объ отношеніяхъ Греціи и Австріи къ Россіи.—Разложеніе Австро-Венгріи.—Національный вопросъ.—Императоръ и соціалъ-демократы.—Нѣмецкіе культуртрегеры въ Африкѣ.—Пожаръ на улицѣ Гужона.—Покушеніе на жизнь короля Гумберта.—Колоніальныя войны Испаніи.—Первое примѣненіе маузеровскихъ ружей въ Испаніи. В. П. 22. Письма изъ-за границы. 1. Изъ Соединенныхъ штатовъ Сѣверной Америки. 1. Перемѣна администраціи. И. Г. 2. Изъ Австріи. I. Еще о выборахъ въ Галиціи. Л. Василевскаго. II. Избирательная борьба въ Вѣнѣ. П. Т. 23. Текущіе вопросы внутренней жизни. Высочайшій рескриптъ на имя статсъ-секретаря Дурново. Дворянскій вопросъ и его экономическая почва. Перспективы „рѣшительныхъ и всеобъемлющихъ реформъ“. Дореформенное дворянское управленіе. Культъ „принципа понужденія“.—Биметалистическая агитація. Докладъ г. Бутми и пренія по нему.—Предложеніе г. Стаховича, какъ одинъ изъ симптомовъ перемѣны настроенія въ первенствующемъ сословіи.—Изъ литературы вопроса о хлѣбныхъ цѣнахъ.—Новый законъ о печати.—Отмѣна паспортнаго сбора. Въ какой мѣрѣ уничтожаетъ она фискальное значеніе паспортной системы? П. Б. 24. Новыя книги, присланныя въ редакцію въ апрѣлѣ. 25. Объявленія.

При новомъ составѣ редакціи въ журналѣ принимаютъ участіе слѣдующія лица:

К. С. Баранцевичъ, проф. И. И. Боргманъ, С. Н. Булгаковъ, В. П. Быстренинъ, Ю. Н. Вагнеръ, В. Вересаевъ, проф. П. Г. Виноградовъ, В. В. Водовозовъ, Н. Гаринъ (Н. Г. Михайловскій), М. О. Гершензонъ, М. Горькій (А. М. Пешковъ), И. А. Гурвичъ, К. Ельцова, А. М. Калмыкова, Л. Ф. Крживицкій, проф. П. Ф. Лесгафтъ, Г. А. Мачтетъ, проф. П. Н. Милюковъ, В. Г. Михайловскій, Вл. И. Немировичъ-Данченко, пр. Д. Н. Овсяниковъ-Куликовскій, А. В. Погожевъ, В. А. Поссе, И. Н. Потапенко, Д. Д. Протопоповъ, В. Я. Свѣтловъ. М. Н. Семеновъ, П. Б. Струве, В. Л. Сѣрошевскій, М. И. Туганъ-Барановскій, В. А. Фаусекъ, Максъ Ферворнъ (профес. Іенскаго унив.), проф. Н. А. Холодковскій, Е. Н. Чириковъ, Т. Цигенъ (Th. Ziehen, проф. Іенскаго унив.), А. С. Шабельская. О. А. Шапиръ, А. И. Эртель, В. Я. Яковлевъ и др.

Годовая подписка на „НОВОЕ СЛОВО“ (отъ 25 до 30 печ. лист.) принимается съ 1-го октября 1896 г. по 1-е октября 1897 г.

подписная цѣна:

Съ пересылкой на годъ 10 р., на полгода 5 р., на три мѣсяца 2 р. 50 к.

Безъ пересылки на годъ 9 р., съ перес. за границу на годъ 12 р.

отдѣльныя книжки журнала по 1 рублю. За ту же цѣну можно выписывать журналъ и за 1-й годъ, съ 1 окт. 1895 г. по 1 окт. 1896 г.

Контора редакціи: С.-Петербургъ, Спасская ул. (уг. Надеждинской), д. № 15, кв. № 1. Отдѣленіе конторы: Въ С.-Петербургѣ—1) Невскій пр., д. № 54, „Библіотека Черкесова“; 2) Книжный складъ А. М. Калмыковой, Литейный пр. № 60. Въ Москвѣ: книжный Магазинъ „Трудъ“, Тверская, д. Спиридонова.

Подписка на полгода и на 3 мѣсяца допускается только черезъ контору редакціи и ея отдѣленія.

Лица, внесшія сразу полную подписную сумму за весь годъ, пользуются, кромѣ даровой пересылки, уступкой въ 10% со всѣхъ изданій О. Н. Поповой, исключая сочиненій Н. А. Добролюбова и изданій выходящихъ по подпискѣ.

Редакторъ А. Н. Поповъ.

Издатель М. Н. Семеновъ.

(3—3)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 17 Іюня 1897 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ნიკ ქ. № 21.
რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია.